17/10/2023

განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის ოქმი N7

თბილისი, 17 ოქტომბერი, 2023

განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ ონლაინ რეჟიმში, ZOOM-ის პლატფორმის გამოყენებით, საბჭოს წევრები:

1. **მანანა რატიანი -** USAID საბაზისო განათლების პროგრამა, RTI International მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო კომპონენტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;
2. **დიანა მჭედლიშვილი** -შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი - საბჭოს მდივანი;
3. **ზაქარია ქიტიაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
4. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი- საბჭოს წევრი;
5. **მარეხი ნიკოლაძე**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი - საბჭოს წევრი;
6. **ნანა მაკარაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი- საბჭოს წევრი;
7. **ეკატერინე გიგაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი- საბჭოს წევრი;
8. **ნინო ნახუცრიშვილი** - სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საბჭოს წევრი;
9. **მაია ჩქოტუა -** შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
10. **ხათუნა ხალვაში** -ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
11. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტის უფროსი, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
12. **ირმა ქურდაძე-** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი- საბჭოს წევრი;

13. **გია ნოზაძე -** USAID საბაზისო განათლების პროგრამა სწავლა-სწავლების დირექტორი - საბჭოს წევრი;
14. **თამარ გაგოშიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, „თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის "დამფუძნებელი; - საბჭოს წევრი;
15. **თამარ კაპანაძე** - თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი- საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

1. **ნათია ვაჭარაძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ხატია ბერიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საბჭოს სხოდმა დაიწყო 14:00 სთ-ზე.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე ნათია ვაჭარაძე მიესალმა განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 28 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 15 წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ამასთანავე, მან ითხოვა საბჭოს წევრებისაგან ნებართვა, რომ ოქმის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე აღნიშნული სხდომა ჩაწერილიყო, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში განადგურდებოდა, რაზეც საბჭოს დამსწრე წევრებიდან არცერთს არ გამოუთქვამს საწინააღმდეგო აზრი.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნათია ვაჭარაძემ აღნიშნა, რომ განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივმა საბჭომ წინა სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებმადე გადაგზავნილ იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

დოკუმენტის გაცნობის შემდეგ, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტის მხრიდან, გამოგზავნილ იქნა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელზე მცირე რეკომენდაციები და კორექტირებები. აღნიშნულის გათვალისწინებით დოკუმენტის კიდევ ერთხელ განხილვის მიზნით საბჭოს სხდომა ჩაინიშნა 17 ოქტომბერს, 14:00 საათზე.

17/10/2023

საბჭოს სხდომის მიზანსა და დღის წესრიგს წარმოადგენდა:

1. **საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ხმათა უმრავლესობით არჩევა;**
2. **განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ზოგადი განათლების დეპარტამენტის მიერ აღნიშნულ დარგობრივ მახასიათებელზე გამოგზავნილი უკუკავშირისა და კორექტირების განხილვა;**
3. **კენჭისყრის პროცესში მონაწილეობის მიღება;**
4. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დაკორექტირებული პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენა.**

დღის წესრიგის შესაბამისად საბჭოს წევრებმა კენჭისყრაზე წარადგინეს საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურა. საბჭომ ერთხმად მხარი დაუჭირა საბჭოს წევრის, მანანა რატიანის, USAID საბაზისო განათლების პროგრამის, RTI International მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო კომპონენტის დირექტორის კანდიდატურას.

რის შემდეგაც საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა საბჭოს წევრებს შესთავაზა, კორექტირებული **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის** დოკუმენტის დეტალური განხილვა.

სხდომის ფარგლებში გაზიარებულ იქნა **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის** პროექტი და მასში შესული რეკომენდაციები.

1. **პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა აღნიშნული დოკუმენტის სწავლის სფეროს აღწერაში მოცემულ საკითხს, სადაც წინადადებაში დამატებულ იქნა სიტყვა ,,ეროვნული''.**

,,ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს ზოგადსაკაცობრიო და **ეროვნული** ღირებულებების ფორმირებაში, თვითრეგულირებადი ქცევისა და სწავლის უნარის ჩამოყალიბებაში, გაუღვივოს მას ცნობისმოყვარეობა და ცოდნისმოყვარეობა;''

საბჭოს წევრების საბოლოო შეთანხმების საფუძველზე აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა.

2. **საბჭომ, ასევე გაითვალისწინა განათლების და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტის მოსაზრებები სწავლის სფეროს აღწერის ჭრილშიც, სადაც საუბარია მასწავლებელთა ვალდებულებებზე.**

ჩანაწერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან დაემატა ტერმინი ,,თვითკრიტიკული'', ამასთანავე, ამოღებულ იქნა ტერმინი ,,რეფლექსიური''. საბჭოს წევრების განმარტებით რეფლექსიური და თვითკრიტიკული სხვადასხვა ტერმინებია, რომლებიც

სხადასხვა კონტექსტს ატარებს მოცემულ წინადადებაში, ამიტომაც დოკუმენტში ორივეს ჩაწერა უფრო რელევანტურია, ვიდრე მხოლოდ ერთი მათგანის დატოვება. რის შემდეგაც დოკუმენტში გაკეთდა შემდეგი ჩანაწერი:

,,იყოს რეფლექსიური, **თვითკრიტიკული**, ორიენტირებული უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სიახლეების მიმღები და დამნერგავი პედაგოგიურ პრაქტიკაში;''

3. **მომდევნო ცვლილება შეეხო სწავლის შედეგებს, კერძოდ ,,ცოდნა და გაცნობიერების" მეორე პუნქტს.**

,, განსაზღვრავს მოსწავლის სოციო-ემოციური და აკადემიური უნარების განვითარებაზე დაკვირვების მეთოდებს, განვითარებისთვის შესაბამის ინტერვენციებს, **დიფერენცირებულ, რემედიალურ მიდგომებს,** რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლისა და მოწყვლადი ჯგუფების განათლება (მათი ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, გენდერული, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით). ''

მოცემული ჩანაწერი ჩასწორდა შემდეგნაირად:

,, განსაზღვრავს მოსწავლის სოციო-ემოციური და აკადემიური უნარების განვითარებაზე დაკვირვების მეთოდებს, განვითარებისთვის შესაბამის **დიფერენცირებულ სწავლებისა და რემედიაციის მეთოდებს,** რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლისა და მოწყვლადი ჯგუფების განათლება (მათი ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, გენდერული, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით).''

4. **მომდევნო ცვლილება შეეხო ,,სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასების ჩამონათვალს" კერძოდ:**

- ,,განსაზღვრავს მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს.''

მოცემული ჩანაწერი გასწორდა შემდეგნაირად:

- ,,იყენებს მოსწავლეთა საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს. ''

ასევე აღნიშნული თავის ჩამონათვალში კორექტირების შედეგად ჩანაწერმა მიიღო შემდეგი სახე:

- ,,რთავს სსსმ მოსწავლეებს სასწავლო აქტივობებში **დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის გამოყენებით,** მათი საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით;''

5. **დოკუმენტში გასწორდა მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები, რასაც არ გამოუწვევია დოკუმენტის შინაარსის ცვლილება;**

6. **ქვემოთ მოცემული პუნქტი -**

- ,,ადგენს და მიზნობრივად იყენებს შეფასების მეთოდებს, სქემებსა და რუბრიკებს''

დაკორექტირდა შემდეგნაირად:

- მიზნობრივად იყენებს შეფასების მეთოდებს, სქემებსა და რუბრიკებს და საჭიროების შემთხვევაში ადგენს მათ.''

7. **პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის ნაწილში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან კვლევებთან მიმართებით გამოყენებული იყო მარტივი კვლევის კომპონენტი.**

საბჭოს წევრების განმარტებით, პროგრამა ითვალისწინებს მეშვიდე დონეს, სამაგისტრო საფეხურს. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონის გათვალისწინებით სტუდენტებს მოეთხოვებათ აკადემიური კვლევების ჩატარება. აღნიშნულის გათვალისწინებით მარტივი კვლევების სიტყვათა შეთანხმება არარელევანტურია.

,,გეგმავს კვლევებს, მოიძიებს და ქმნის შესაბამის ინსტრუმენტებს კვლევის განსახორციელებლად. საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს კვლევით პროექტებს მოსწავლეების ჩართულობით.''

8. **შემდეგი ცვლილება აისახა ,,სწავლა, სწავლება და შეფასების''** ნაწილში.

კერძოდ, სწავლებისას აუცილებელი თეორიული მასალის მიწოდების დროს სტუდენტზე ორიენტირებული მრავალფეროვანი ინტერაქტიული სტრატეგიების ჩამონათვალში ეწერა ქეისებით სწავლება, აღნიშნული სიტყვა ჩასწორდა შემთხვევათა ანალიზით.

9. **ასევე ჩასწორდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხი, სადაც ამოღებულ იქნა ტერმინი ,,ტრადიციული''.**

,,სამაგისტრო ნაშრომი შესაძლებელია იყოს პრაქტიკის კვლევა ან ემპირიული კვლევა.''

10. **დამატებითი ინფორმაციის ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა შემდეგი ჩანაწერი:**

,,სწავლებისას აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს პრაქტიკული სწავლება, მოდელირება, ქეისების განხილვა, აქტივობების დაგეგმვა და სხვა ინტერაქტიული მეთოდები და მიდგომები;''

მოცემული ჩანაწერის შინაარსი მეორდებოდა **,,სწავლა, სწავლება და შეფასების''** ნაწილში. აღნიშნულის გათვალისწინებით მოცემული პუნქტი ამოღებულ იქნა დამატებითი ინფორმაციის თავიდან, ხოლო **სწავლების მეთოდების ჩამონათვალს ამ ნაწილიდან მხოლოდ და მხოლოდ დაემატა მოდელირების მეთოდი, რომელიც მანამდე არ იყო მითითებული.**

11. **6.8** პუნქტში ნაცვლად ახორციელებს ჩაიწერა ხელმძღვანელობს -
,,სასკოლო პრაქტიკას ხელმძღვანელობს...''

საბჭოს წევრების მხრიდან **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის** პროექტის დეტალურად განხილვის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარის მოვალოების შემსრულებელმა, მანანა რატიანმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი: **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის კორექტირებული პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ, რომელიც კენჭისყრით უნდა გადაწყვეტილიყო.**

კენჭი ეყარა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს. საბჭოზე დამსწრე წევრებიდან (გარდა გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრებისა), ყველა მათგანმა დაადასტურა დღის წესრიგით დაყენებულ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილება.

გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები, რომლებიც ესწრებოდნენ სხდომას და არ მიუღიათ კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა:

1. **მანანა რატიანი -** USAID საბაზისო განათლების პროგრამა, RTI International მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო კომპონენტის დირექტორი;
2. **ნინო ნახუცრიშვილი** - სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი;
3. **ირმა ქურდაძე -** სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახემწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების მიმართულების ხელმძღვანელი;
4. **ნანა მაკარაძე** -სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
5. **გია ნოზაძე -** USAID საბაზისო განათლების პროგრამა სწავლა-სწავლების დირექტორი - საბჭოს წევრი;

კენჭისყრის მსვლელობისას გამოვლინდა 100% მხარდაჭერა.

10 მომხრე;

0 წინააღმდეგი.

გადაწყვეტილება: საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის საბოლოო პროექტი წარედგინოს ცენტრის დირექტორს დასამტკიცებლად.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ნათია ვაჭარაძემ, აღნიშნა, რომ მოცემული უმაღლესი დარგობრივი მახასიათებლის პროექტი კიდევ ერთხელ დამუშავდება შესაბამისი სამსახურის მიერ, ანუ მოხდება მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომებისა და სტილისტური ხარვეზების კორექტირება რათა თავიდან არიდებულ იქნას სხვადასხვა გრამატიკული უზუსტობა და სტილისტური შეცდომები (შინაარსის ცვლილების გარეშე). დაკორექტირებული საბოლოო ვერსია კი გაეგზავნება საბჭოს წევრებს გასაცნობად, რის შემდეგაც დღევანდელი საბჭოს კენჭისყრის შედეგების საფუძველზე წარედგინება ცენტრის დირექტორს დასამტკიცებლად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 14:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - მანანა რატიანი

საბჭოს მდივანი - დიანა მჭედლიშვილი